

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია „ემიგრაციის შესახებ“ კანონის გაუქმებით და მასში ასახული ნორმების „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში გაერთიანებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ გასვლის ნორმების ერთ აქტში გაერთიანება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით გამომდინარე ემიგრაციის ანუ მუდმივი გასვლის შესახებ ნორმების ამ კანონში გაერთიანებიდან, იცვლება კანონის სათაური და მას ეწოდება „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“. აქედან გამომდინარე რედაქციულად შეიცვალა კანონის ზოგადი ნორმებიც, რომლებიც როგორც დროებით, ისე მუდმივ გასვლას აწესრიგებს.

დღეს მოქმედი „ემიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც 1993 წელს არის მიღებული, ითვალისწინებს მრავალ უმოქმედო და მოძველებულ ნორმას. ამ კანონის მიხედვით საქართველოს მოქალაქე საზღვარგარეთ მუდმივად გამგზავრებისას იღებს საემიგრაციო პასპორტს, მაშინ როდესაც პრაქტიკულად ეს დოკუმენტი არ გაიცემა და ემიგრაცია დასტურდება საქართველოს მოქალაქეობის პასპორტში შტამპის დახმით და ემიგრაციის ნებართვის გაცემით.

აქედან გამომდინარე, პროექტი ითვალისწინებს ამ ნორმების სრულყოფას და ყველა ტერმინოლოგიური და პროცედურული პრობლემის გასწორებას.

კანონპროექტის თანახმად, კანონს ემატება IV თავი, რომელიც აწესრიგებს საქართველოდან ემიგრაციის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესს.

ემიგრაციის ნებართვის მისაღებად შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს საქართველოს სრულწლოვან ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც მას შეაქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში.

კანონპროექტში დეტალურად არის განსაზღვრული ყველა ის დოკუმენტი, რაც უნდა დაერთოს შუამდგომლობას. ემიგრაციის ნებართვის გასაცემად შუამდგომლობა განიხილება საჭირო დოკუმენტაციის წარდგენიდან 1 თვის ვადაში, რომლის შედეგად სააგენტო გასცემს საქართველოდან ემიგრაციის ნებართვას და საქართველოს მოქალაქის პასპორტში ხვამს შტამპს აღნიშნული: „მუდმივი გასვლა“ ნებართვის გაცემის თარიღის მითითებით, რაც დასტურდება სააგენტოს ბეჭდით და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

კიდევ ერთი საკანონმდებლო ნივთია ემიგრანტის მიერ საქართველოს მოქალაქის პასპორტის გამოცვლის შემთხვევაში შტამპის გადატანის საკითხი, რისი კახისით მოწესრიგების აუცილებლობა პრაქტიკულად არის საკარნახული ამ შემთხვევაში სააგენტო ვადლებულია, ემიგრანტის მიერ საემიგრაციო ნებართვის და შუამდგომლობის წარდგენიდან 15 თვის ვადაში უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

და ახალ პასპორტზე გადაიტანოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შტამში სათანადო აღნიშვნით.

პროექტში დეტალურად არის გაწერილი საქართველოდან ემიგრაციის ნებართვის გაცემაზე უარის საფუძვლები. ამასთან, აღნიშნულია, რომ დაინტერესებული პირის შუამდგომლობის მიღებიდან 2 დღის ვადაში სააგენტო მიმართავს სახელმწიფო ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გარემოებების არსებობის თაობაზე. რომლებიც ვადდებულნი არიან მიმართვის მიღებიდან 5 დღის ვადაში წარუდგინონ სააგენტოს შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები. თუ აღნიშნული ვადა საკმარისი არ არის საჭირო ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარსადგენად. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები ვადდებულნი არიან ამის თაობაზე წერილობით აცნობონ სააგენტოს, რის შემდეგაც მათ მიეცემათ დამატებით 2 დღიანი ვადა. სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიულ პირების მიერ აღნიშნულ ვადებში სააგენტოსათვის ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში, სააგენტო ვადდებულნია დაასრულოს საკითხის განხილვა კანონით განსაზღვრულ ვადაში.

პროექტში ასევე ასახულია ნორმები არასრულწლოვნისა და ქმედუქნარო პირის ემიგრაციისა და ემიგრაციის სტატისტიკის შესახებ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვადდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვადდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირებისათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებთან

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირობისათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინციტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.